



შეთანხმება თანამშრომლობისა და პარტნიორობის შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოში ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასს შორის პირველადი ჯანდაცვის საპილოტე დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად	Agreement on Cooperation and Partnership Between Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia and Caritas Czech Republic in Georgia on Improvement of the Quality of Health Services in Pilot Primary Health Care Facilities.
<i>ერთი მხრივ</i>, ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში (ს/კ 405100215), რეგისტრირებული 11/05/2015 წელს სსიპ (საჯარო სამართლის იურიდიული პირი) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, იურიდიული მისამართი ნუცუბიძის II მ/რ, #3ა, თბილისი, საქართველო, რომელიც მოქმედებს მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ეკატერინე მესხრიკაძის სახით (პ/ნ 01024030704) (იხ. დანართი #1, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შესახებ), (შემდგომში, შეთანხმების ტექსტში - ჩრკ); და <i>მეორე მხრივ</i>, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, იურიდიული მისამართი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, ქ. თბილისი 0159, საქართველო, რომელიც მოქმედებს მინისტრის მოადგილის ნინო ბერძულის სახით (შემდგომში, შეთანხმების ტექსტში - სშჯსდს); ვთანხმდებით და ვდებთ წინამდებარე	<i>On the one hand</i>, Caritas Czech Republic in Georgia (ID/N 405100215), Registered 11/05/2015 by LEPL (Legal Entity of Public Law) National Agency of Public Registry, Legal Address 3a, Nutsubidze Plateau II, Tbilisi, Georgia, represented by its authorized representative Ekaterine Meskhrikadze (P/N 01024030704, (See Annex #1 about representation authority), (hereinafter – CCRG); And <i>On the other hand, the Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia</i>, Legal Address: 144 Tsereteli Ave., Tbilisi 0159, Georgia, represented by the Deputy Minister Nino Berdzuli, (hereinafter – MoLHSA);



შეთანხმებას შემდეგზე:	Have agreed and concluded the agreement as follows:
მუხლი 1. ტერმინები და განმარტებები 1.1. წინამდებარე შეთანხმებაში გამოყენებული ტერმინები განმარტება შემდეგნაირად: მხარე - წინამდებარე შეთანხმების ერთ-ერთი მხარე (ჩრკ ან სშჯსდს) ინდივიდუალურად; მხარეები - წინამდებარე შეთანხმების ორივე მხარე ერთობლივად; ხელშეკრულება - წინამდებარე ხელშეკრულება დანართების ჩათვლით; 1.2. ტერმინებს, რომლებიც არ არის განსაზღვრული ზემოთ, მაგრამ გამოყენებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში, აქვთ საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული მნიშვნელობა. 1.3. წინამდებარე შეთანხმებაში ნებისმიერი მითითება მუხლზე, პუნქტზე, ქვეპუნქტსა ან დანართზე გულისხმობს წინამდებარე შეთანხმების მუხლს, პუნქტს, ქვეპუნქტს ან დანართს და წინამდებარე შეთანხმებაზე მითითება ასევე მოიცავს მითითებას მის დანართებზე.	Article 1. Terms and Interpretations 1.1. In this agreement the following terms shall have the following meanings: Party – One party of the following agreement (CCRG or MoLHSA) individually; Parties – Both parties of the following agreement collectively; Agreement - This Agreement including its Annexes; 1.2. Terms not defined above, but referred to in this Agreement, shall have the meaning granted by Georgian law. 1.3. All references to a section, sub-section or annex in this Agreement shall mean the section, sub-section or annex of this Agreement, and the reference to this Agreement shall include reference to its annexes.
მუხლი 2. შეთანხმების საგანი 2.1. წინამდებარე შეთანხმებით მხარეები თანხმდებიან, რომ 2017-2019 წლების განმავლობაში აქტიურად ითანამშრომლებენ იმისათვის, რომ საპილოტე პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში გაუმჯობესდეს	Article 2. Subject of the Agreement 2.1. According to this Agreement, during 2017-2019 years, the parties agreed, they will actively cooperate to ensure improvement of the quality of delivered primary health care services at pilot PHC facilities and dissemination of project results in other



სამედიცინო სერვისების მიწოდების ხარისხი და შესაბამისი შედეგების გავრცელება მოხდეს სხვა პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში. თავის მხრივ, ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ჩართულობის ფარგლები ჩრკ შესაბამისობაში იქნება მის მიერ განხორციელებულ პროექტთან („პირველადი ჯანდაცვის ხარისხის გაუმჯობესება საქართველოში“ (შემდგომში პროექტი)), რისთვისაც ჩრკ - ს გამოყოფილი აქვს გრანტი 5,903,952 (ხუთი მილიონი ცხრაასამაიათას ცხრაას ორმოცდათორმეტი) ჩეხური კრონის ოდენობით და რომლის გამოყენება გამიზნულია ამ შეთანხმებით განსაზღვრული მიზნებისათვის და მისი პირობების მხარდასაჭერად. 2.2. სშჯსდს იღებს ვალდებულებას, განსაზღვროს კონკრეტული პასუხისმგებელი პირი, რომელსაც დაევალება პირველადი ჯანდაცვის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებზე მუშაობა და მუდმივი თანამშრომლობა ექსპერტების ჯგუფთან, რომელიც შეიქმნა პროექტის ფარგლებში ჩრკ-ის მხარდაჭერით. აღნიშნული პირი გაუწევს ზედამხედველობას და უზრუნველყოფს, რომ ყველა დოკუმენტი და პროდუქტი, რომელიც შეიქმნება პროექტის ფარგლებში, იყოს შესაბამისობაში სშჯსდს-ის პრიორიტეტებთან; 2.3 პროექტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი (2 გარე ექსპერტის შემადგენლობით)	PHC facilities. Within this agreement, CCRG, will act in accordance with it's project („Launch of quality improvement of primary health care system in Georgia“ (further referred to as Project), for wich CCRG received the grant in amount 5,903,952 (Five Million Nine Hundred three Thoudand Nine Hundred Fifty-two) CZK, to be used for support the purposes defined by this Agreement and in line with its terms. 2.2. MoLHSA takes the obligation to assign concrete person, as a responsible official in charge of quality improvement issues and ongoing cooperation with the team of experts created under the Project and supported by CCRG. This person will oversee and ensure that all documents and deliverables of the Project are in line with the MoLHSA 's priorities; 2.3 The group of experts (comprised of two external experts) under the Project will be accountable to
--	---



ანგარიშვალდებული იქნება ჩრკ და სშჯსდს-ის წინაშე და მხარეების მიერ დავალებების განაწილება მოხდება თანაბრად. ეს პროცესი საგანგებოდ იქნება კოორდინირებული ჩრკ პროექტის მენეჯერის მიერ, რომელსაც დანიშნავს ჩრკ. პროექტის პროდუქტების ჩამონათვალი და ჩრკ და სშჯსდს-ს შესაბამისი როლები მოცემულია ამ ხელშეკრულების დანართ 1-ში. 2.4. სშჯსდს გამოხატავს მზადყოფნას, მიიღოს ყველა ზომა, რათა პროექტის დასრულების შემდეგ, საქართველოს სხვა პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში, განხორციელებული იქნეს ხარისხის საპილოტე სისტემა.	CCRG and MoLHSA and the tasks will be assigned equally by both involved parties. This process will be carefully coordinated by Project Manager of CCRG. The list of deliverables of the Project and subsequent roles of CCRG and MoLHSA are provided in Annex 1 of this agreement. 2.4 MoLHSA declares its readiness to take all measures for implementation of piloted quality system in other PHC centres around Georgia after the end of the project.
მუხლი 3. შეთანხმების მოქმედების პერიოდი და ძალაში შესვლის პირობები 3.1. წინამდებარე შეთანხმების ქმედითობა განისაზღვრება მხარეთა მიერ ვალდებულებათა შესრულებით. 3.2. შეთანხმება იდება განსაზღვრული დროით, რომლის მოქმედების დაწყების თარიღია მისი ხელმოწერის დღე და დასრულების თარიღი - 31 დეკემბერი, 2019 წელი. 3.3. შეთანხმება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან, ხოლო თუ ეს დღე განსხვავებულია წინამდებარე შეთანხმების 3.2. მუხლში მითითებული თარიღისაგან, მაშინ შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღად მიიჩნევა	Article 3. Effective Term and Validation of the Agreement 3.1. The effectiveness of the present agreement is determined by the fulfillment of obligations by the parties. 3.2. The Agreement is concluded for a fixed term commencing on day of its signature and terminating on December 31, 2019; 3.3. The Agreement is effective from the moment it is signed by both parties. If the signing date is different from the date mentioned in Article 3.2 the agreement will be effective from the date indicated in Article 3.2. of this Agreement.



წინამდებარე შეთანხმების 3.2. მუხლში მითითებული თარიღი.	
მუხლი 4. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები 4.1. ჩრკ არის ძირითადი განმახორციელებელი ორგანიზაცია, რომელიც სრულად პასუხისმგებელია პროექტზე დონორის წინაშე; 4.2. ჩრკ წარმოადგენს პროექტს მესამე მხარეებთან, თუ სხვა სპეციალური შეთანხმება არ არსებობს სშჯსდს-თან; 4.3. ჩრკ უზრუნველყოფს სშჯსდს-ს პროექტის შესახებ საკმარისი ინფორმაციით ხელშეკრულების ხელმოწერიდან 10 დღის განმავლობაში. 4.4. ჩრკ დაუყოვნებლივ აცნობებს სშჯსდს ნებისმიერი ახალი ფაქტის შესახებ, რომელიც მნიშვნელოვანია შეთანხმების მხარეების თანამშრომლობისათვის; 4.5. სშჯსდს უფლება აქვს მოსთხოვოს ჩრკ-ს წინამდებარე შეთანხმებით მასზე დაკისრებული ვალდებულებების მაღალ-პროფესიულად და ზუსტად შესრულება. 4.6. პროექტის საქმიანობების განხორციელებისას, სშჯსდს ვალდებულია უზრუნველყოს ჩეხეთის რესპუბლიკის ჰუმანიტარული დახმარების და ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასის ხილვადობა, როგორც აღწერილია დანართ 2-ში - ჩეხეთის განვითარების სააგენტოს ხილვადობის	Article 4. Rights and Obligations of the Parties 4.1. CCRG is the lead implementing organization and is responsible for the Project as a whole towards the donor. 4.2. CCRG undertakes to represent the Project towards third parties unless otherwise explicitly agreed with the MoLHSA. 4.3. CCRG undertakes to provide the MoLHSA with sufficient information about the Project within 10 days after the date of signing this Agreement. 4.4. CCRG undertakes to inform the MoLHSA without undue delay about any new fact that is important for the cooperation of the contracting parties as per this Agreement. 4.5. MoLHSA has the right to demand from the CCRG to carry out duties undertaken hereafter in a highly professional and precise manner. 4.6. When implementing the Project activities, MoLHSA is obliged to ensure the visibility of the Czech Republic Humanitarian Aid and Caritas Czech Republic as described in Annex 2 - Visibility Manual of CzDA.



სახელმძღვანელო. 4.7. მხარეები იღებენ პასუხისმგებლობას, კეთილსინდისიერად შეასრულონ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.	4.7. The Parties shall take the responsibility to comply with the obligations undertaken by this Agreement.
მუხლი 5. შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის საფუძველები 5.1. შეთანხმების შეწყვეტის საფუძველია: 5.1.1. მხარეთა ურთიერთშეთანხმება; 5.1.2. წინამდებარე შეთანხმების 3.2. მუხლით დაწესებული ვადის გასვლა (შესაბამისი მოვლენის დადგომა). 5.1.3. კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველები. 5.4. ყველა სახის შეტყობინება და კორესპონდენცია, რომლებიც ამ ხელშეკრულებას უკავშირდება, გაფორმებული უნდა იყოს წერილობითი სახით ინგლისურ ენაზე და გადაგზავნილი შემდეგ მისამართზე: CCRG - ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში მისამართი: ნუცუბიძის II მ/რ, #3ა, თბილისი, საქართველო მისიის ხელმძღვანელი: ეკატერინე მესხრიკაძე ტელეფონი: +995 577 44 91 91 ელ-ფოსტა: Ekaterine.meskhrikadze@caritas.cz სშჯსდს - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო	Article 5. Termination of the Agreement 5.1. The Agreement can be terminated on the following grounds: 5.1.1. Upon the mutual agreement between the parties; 5.1.2. Expiration of the date indicated in the article 3.2 (The occurrence of appropriate event). 5.1.3. Other grounds provided by the law. 5.4. All notifications and communications between the Parties in relation to this Agreement shall be made in writing in the English language and shall be transmitted to the following addresses of the Parties: CCRG - Caritas Czech Republic in Georgia Address: 3a, Nutsubidze Plateau II, Tbilisi, Georgia Head of Mission: Ekaterine Meskhrikadze Phone: +995 577 44 91 91 E-mail: Ekaterine.meskhrikadze@caritas.cz MoLHSA – Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia Address: 144 Tsereteli Ave., Tbilisi 0159, Georgia



მისამართი: აკ. წერეთლის გამზ. 144., ქ. თბილისი 0159, საქართველო მინისტრის მოადგილე: ნინო ბერძული ტელეფონი: (995 32) 2510011 ელ-ფოსტა: nberdzuli@moh.gov.ge 5.5. მხარეებს უფლება აქვთ შეცვალონ მისამართები და ტელეფონის ნომრები, რის შესახებაც დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ მეორე მხარეს. 5.6. წინამდებარე შეთანხმებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება და ინფორმირება მხარეთა შორის განხორციელებულად ითვლება ადრესატის მიერ შეტყობინების მიღების მომენტიდან.	Deputy Minister: Nino Berdzuli Phone: (995 32)2510011 E-mail: nberdzuli@moh.gov.ge 5.5. The parties have the right to change telephone numbers or addresses. In such cases, the another party must be informed immediately. 5.6. All notifications and communications between the parties will be valid after being received by the other party.
მუხლი 6. სადავო საკითხების გადაწყვეტა 6.1. მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის წარმოქმნილი ყველა დავა (სადავო საკითხი) გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. 6.2. ყველა დავა, რომელიც გამომდინარეობს ან დაკავშირებულია წინამდებარე შეთანხმებასთან და რომლის მოგვარება ვერ მოხერხდა მხარეთა მიერ 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში კონსულტაციების საფუძველზე, გადაეცემა სასამართლოს განსახილველად. 6.3. ყველა დავა, რომელიც გამომდინარეობს ან დაკავშირებულია წინამდებარე შეთანხმებასთან და რომლის მოგვარება ვერ მოხერხდა მხარეთა მიერ მოლაპარაკებების	Article 6. Solution of Moot Points 6.1. All disputes between the Parties arising out of or relating to this Agreement, should be solved through negotiations with each other. 6.2. All disputes between the parties arising from or related to this agreement which cannot be solved within 15 (fifteen) calendar days through consultations between the Parties, shall be referred to court. 6.3. All disputes between the parties arising from or related to this Agreement which cannot be settled through negotiations between the parties, shall be referred to and finally resolved by the courts of



მთლიანად შეთანხმების ბათილობას.

8.4. საკითხები, რომლებიც წარმოიშვება წინამდებარე შეთანხმებიდან მხარეებს შორის და რომელთა რეგულირებაც არ არის მოცემული წინამდებარე შეთანხმებაში, გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

8.5. შეთანხმებიდან მუხლების სათაურები ხელშეკრულების ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად და მხოლოდ და ისინი ზეგავლენას არ ახდენენ და მხედველობაში არ უნდა იყოს მიღებული შეთანხმების დებულებების განმარტებისას.

8.6. შეთანხმებაში ყველა ცვლილება და დამატება ნებადართულია მხოლოდ წერილობითი სახით.

8.7. მხარეებმა წავიკითხეთ წინამდებარე შეთანხმება და ვადასტურებთ, რომ იგი ზუსტად გამოხატავს ჩვენს ნებას. თითოეული მხარე ხელს აწერს შეთანხმების ერთ ეგზემპლარს და ხელმოსაწერად უგზავნის მეორე მხარეს.

მხარეთა ხელმოწერები:

ეკატერინე მესხრიკაძე
მისიის ხელმძღვანელი

ნინო ბერძული
მინისტრის მოადგილე

ხელმოწერის თარიღი და ადგილი:

21.12.2017 თბილისი



8.4. Issues arising between the parties that are not regulated by the agreement, will be decided on the basis of Georgian legislation.

8.5. The headings in this Agreement are for convenience only and do not affect and should not be taken into account when interpreting this Agreement.

8.6. Introduction of changes and amendments to this Agreement is allowed only in writing.

8.7. The parties have read the agreement and confirm that it accurately reflects their will. Each party signs their copy and sends it to other party.

Signature of the Parties:

Ekaterine Meskhrikadze
Head of Mission

Nino Berdzuli
Deputy Minister

Date and place of signature:

21.12.2017, Tbilisi

